ხელშეკრულება საფურშეტო მომსახურების შესახებ

5/6
26.03.11

ერთის მხრივ სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის სახით(შემდგომში "დამკვეთი")
მეორე მხრივ შ.პ.ს "ძველი ქალაქი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ვალერი თავაძის სახით (შემდგომში "შემსრულებელი") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ჯამ 55300000

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. დამკვეთი უკვეთავს ხოლო შემსრულებელი იღებს ვალდებულებას მისი ობიექტიდან,კერძოდ რესტორანი „ძველი ქალაქი" მოახდინოს საფურშეტე მომსახურება,კერძოდ მიწოდება.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

შემსრულებელი ვალდებულია:

2.1.1. უზრუნველყოს მომსახურება დამკვეთის მოთხოვნის და შეთანხმებული მენიუს შესაბამისად;

2.1.2. უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხიანად შესრულება;

2.2. შემსრულებელს უფლება აქვს:

2.2.1. მოსთხოვოს დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

2.2.2. მოსთხოვოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების განუხრელი დაცვა;

2.2.3. დამოუკიდებლად მოაწყოს თავისი სამუშაო პროცესის ორგანიზაცია და უხელმძღვანელოს მას, განსაზღვროს ხელშეკრულების საგნის შესრულებისათვის საჭირო მეთოდები, განსახორციელებელი ოპერაციების რიგითობა და ა.შ;

2.3. დამკვეთი ვალდებულია:

2.3.1. წინამდებარე ხელშეკრულების, დროულად გადაიხადოს გაწეული მომსახურების ღირებულება;

2.3.2. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნები;

2.4. დამკვეთს უფლება აქვს:

2.4.1. მოსთხოვოს შემსრულებელს ხელშეკრულების პირობების დაცვა;

2.4.2. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

3. გადახდის პირობები

მომსახურების სრული ღირებულება შეადგენს სულ 207.9 ლარს (ორასშვიდი ლარი ოთხმოცდაათი თეთრი)
თანხის გადახდა წარმოებს ეროვნულ ვალუტაში უნაღდო ანგარიშწორებით, მომსახურების შესრულებიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ფორს-მაჟორი

„დამკვეთი“ და „შემსრულებელი“ წინამდებარე ხელშეკრულების პასუხისმგებლობიდან დროებით თავისუფლდებიან (ნაწილობრივ ან სრულიად) ისეთი გარემოებების შემთხვევაში, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს. დაუძლეველ გარემოებად ითვლება: მოწისძვრა, სტიქიური უბედურებები, მასობრივი არეულობები. ეს გარემოებები უშუალოდ უნდა ახდენდნენ გავლენას მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე.

6. *დავა მხარეთა შორის*

მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთამხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. *დასკვნითი დებულებები*

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და
საბოლოო შესრულებამდე.

ხელშეკრულების შეცვლა და შეწყვეტა დაიშვება მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით და ფორმდება დამატებითი შეთანხმებით ან ახალი ხელშეკრულების ფორმით.

ყოველივე, რასაც არ ითვალისწინებს ხელშეკრულება, განიხილება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად თითოეული მხარისთვის.

8. *მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები*

„შემსრულებელი“	„დამკვეთი“
შპს “ძველი ქალაქი”	სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულისააგენტო
მის: დიღ.მას.მე-3კვ. მე-6 გ-ს მოპირდაპირედ	მის: თაბუკაშვილის 5
ს/კ 401949594	ს/კ 204562311
ბანკის დასახელება ს/ს „ბანკი რესპუბლიკა”	სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი:REPLGE22757	
ანგ №GE91BR0000010348252885	
---	---
დირექტორი /ვალერი თავაძე/	გენერალური დირექტორი /ნიკოლოზ ვაჩეიშვილი/